

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №9
2011 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი**

**საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის
საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ
ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე** (23.09.2011 N 355)

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-8 ნაწილისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს „საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქცია“ დანართებთან ერთად. (23.09.2011 N 355)

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 თებერვლის №50 დადგენილება (სსმ III, 2010 წელი, №23, მუხლი 315).

2. „თავისუფალი საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრისა და თავისუფალი საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციისა და თავისუფალი საწყობის საქმიანობის სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 მაისის №87 დადგენილება (სსმ III, 2009 წელი, №61, მუხლი 678).

3. „საბაჟო საწყობის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №108 ბრძანება (სსმ III, 18.02.2010 წ., №19, მუხ. 233).

4. „უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 16 იანვრის №26 ბრძანება (სსმ III, 17.01.2007 წ., №7, მუხ. 48).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

ინსტრუქცია

**საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების
გაცემის წესების შესახებ**

(23.09.2011 N 355)

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ეს ინსტრუქცია შემუშავებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებს, სანებართვო პირობებსა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებს, ასევე საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების ფორმებს. (23.09.2011 N 355)

2. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული საქმიანობების ნებართვებს გასცემს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

3. ეს ინსტრუქცია არ ვრცელდება ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულ საქმიანობაზე იმ შემთხვევაში, როცა მას ახორციელებს შემოსავლების სამსახური.

4. საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ტერიტორია წარმოადგენს კონტროლის ზონას. (23.09.2011 N 355)

მუხლი 2

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საქონელი** – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის, ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი;

ბ) **პირი** – საქართველოს საწარმო, მუდმივი დაწესებულება ან ინდივიდუალური საწარმო;

გ) **ნებართვა** – ამ მუხლის „თ“, „ი“, „კ“ ან „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის კანონით განსაზღვრული ვადით განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას;

დ) **სანებართვო მოწმობა** – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) **ნებართვის მაძიებელი** – ნებართვის მიღების მსურველი პირი;

ვ) **ნებართვის მფლობელი** – პირი, რომელსაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული მოქმედება;

ზ) **სანებართვო პირობები** – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ნუსხა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი

ნებართვის მისაღებად ან/და ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას;

თ) ამოღებულია (23.09.2011 N 355)

ი) **საწყობის საქმიანობა** – საწყობში ნებისმიერი პირის: (23.09.2011 N 355)

ი.ა) საქონლის შენახვა, რომელიც მოქცეულია საწყობის სასაქონლო ოპერაციაში;

ი.ბ) საქონლის დროებით შენახვა, რომლის მიმართაც განსაზღვრულია ან არ არის განსაზღვრული სასაქონლო ოპერაცია;

ი.გ) იმ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების დროებით განთავსება, რომლებიც იმყოფება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ;

კ) ამოღებულია (23.09.2011 N 355)

ლ) **თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა** – ნებართვით განსაზღვრული ობიექტის ტერიტორიაზე:

ლ.ა) სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიებების გარეშე უცხოური საქონლისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის მიწოდებული საქართველოს საქონლის სავაჭრო დარბაზებში გაყიდვა იმ მგზავრებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიას;

ლ.ბ) უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება;

მ) **საწყობი** – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებული, ამ ინსტრუქციის II თავით დადგენილი სანებართვო პირობების შესაბამისად, ტერიტორიულად განცალკევებული შენობა-ნაგებობების ან/და მიწის ნაკვეთისაგან შემდგარი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ან განხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა. აღნიშნული ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი;

ნ) **სათავსი** – შენობა-ნაგებობა ან შენობა-ნაგებობის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია შენახვის ჩვეულებრივი ან/და სპეციფიკური პირობების შესაბამისად საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შესანახად ან/და საწყობში შენახული საქონლის მიმართ დასაშვები მოქმედებების განსახორციელებლად;

ო) **შენობა-ნაგებობა** – სათავსი, საწყობის სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის საჭირო, დაცვის დანიშნულების, საწარმოო ოპერაციების შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობა არის აგრეთვე შენობა-ნაგებობის ერთიანი და იზოლირებული ნაწილი (დამოუკიდებელი ერთი ან რამდენიმე შესასვლელის მქონე სართული ან შენობა-ნაგებობის ნაწილი), რომელსაც უნდა ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი შესასვლელი ან/და გასასვლელი;

პ) ამოღებულია (23.09.2011 N 355)

ჟ) **ობიექტი** – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებული, სანებართვო პირობების შესაბამისად;

ჟ.ა) აეროპორტში, ნავსადგურში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სხვა ადგილზე არსებული, ტერიტორიულად ერთიან კონტროლის ზონაში განთავსებული სავაჭრო დარბაზი (დარბაზები), პუნქტის საწყობი (საწყობები) ან/და ნებართვის მამიებლის სურვილის შემთხვევაში – სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ან განხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა;

ჟ.ბ) ამ მუხლის „ჟ.ა“ ქვეპუნქტის გარდა, სხვა ადგილზე განთავსებული სავაჭრო დარბაზი (დარბაზები), დათვალეირებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღების ადგილი, პუნქტის საწყობი (საწყობები) ნებართვის მამიებლის სურვილის შემთხვევაში – სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ან განხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა. აღნიშნული ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი და იზოლირებული;

ჟ.გ) აეროპორტში, ნავსადგურში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სხვა ადგილზე არსებული, ტერიტორიულად ერთიან კონტროლის ზონაში განთავსებული დარბაზი (დარბაზები), რომელშიც ხდება ნებისმიერი მასალისაგან ხელით შესრულებული ტილოს, სურათის, ნახატის (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის, ასევე ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალური ნაწარმოების რეალიზაცია;

რ) **პუნქტი** – ობიექტი, სადაც ნებართვის მფლობელის მიერ ხორციელდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა;

ს) **ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები** – ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული სანებართვო პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ინსტრუქციით განსაზღვრული ნებართვის მფლობელი (მამიებელი).

მუხლი 3 (23.09.2011 N 355)

1. ნებართვა გაიცემა ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ი“ ან „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თითოეული საქმიანობისათვის, ერთი საწყობისათვის ან ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტისათვის.

2. ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, საწყობის საქმიანობისათვის – განუსაზღვრელი ვადით, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობისათვის – ნებართვის მამიებლის მოთხოვნის შესაბამისად – 5 ან 5-ზე მეტი წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 50 წლისა. (8.06.2012 N 202)

3. ნებართვა გაიცემა ნებართვის მამიებელ ნებისმიერ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს.

3¹. პორტალის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ექსკლუზიურად განხორციელების უფლების მინიჭების მოთხოვნით განცხადების წარდგენის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება – შესაბამისი პორტალის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის მხოლოდ ერთი ნებართვის გაცემის თაობაზე. (8.06.2012 N 201)

4. აკრძალულია ნებართვის გაცემა პირზე, რომელსაც სანებართვო პირობების დარღვევის გამო ჩამოერთვა საწყობის საქმიანობის ნებართვა, ან რომელიც ასრულებდა ასეთი საწყობის ხელმძღვანელის მოვალეობას.

5. აკრძალულია ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემა, მათ შორის:

ა) ნებართვის მფლობელის საწარმოს სხვა საწარმოსთან შერწყმისას ან სხვა საწარმოსთან (საწარმოებთან) გაერთიანებისას;

ბ) ნებართვის მფლობელის საწარმოს გაყოფისას.

მუხლი 4

1. ნებართვის მაძიებლის მიერ ამ ინსტრუქციის შესაბამისად წარდგენილი განცხადების, თანდართული დოკუმენტაციისა და სანებართვო პირობების შესაბამისობის დადგენის მიზნით დათვალიერების საფუძველზე ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას შემოსავლების სამსახური იღებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სანებართვო მოწმობა და დანართი. გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული ასლები გადაეცემათ ნებართვის მფლობელსა და საგადასახადო ორგანოს, რომლის სამოქმედო ზონაშიც განლაგებულია საწყობი, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. (5.04.2012 N 123)

3. ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების დანართი არის: (23.09.2011 N 355)

ა) საწყობის შემთხვევაში – საწყობის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) ან/და საწყობის ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობის პროექტი;

ბ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი.

4. სანებართვო მოწმობის გაცემა, აგრეთვე სანებართვო მოწმობის დაკარგვის, დაზიანების შემთხვევაში სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემა ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. სანებართვო მოწმობა შესაძლებელია გაიცეს როგორც წერილობითი (რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას), ისე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 5

1. ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად შემოსავლების სამსახურს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების

წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს: *(23.09.2011 N 355)*

ა) „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი საქმიანობისათვის დადგენილი ოდენობის სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან არანაკლებ ნებართვის მოქმედების ვადით დადებული სარგებლობის ექსკლუზიური უფლების (იჯარა, უზუფრუქტი და სხვ.) დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელშეკრულების მხარის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების მხარე შემოსავლების სამსახურია) საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; *(8.06.2012 N 201)*

გ) დოკუმენტური ინფორმაცია:

გ.ა) საწყობის საქმიანობის შემთხვევაში – საწყობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) (ქალაქში ამობეჭდილი ან ელექტრონული);

გ.ბ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – ამ ინსტრუქციის IV თავით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე, გარდა ამავე ინსტრუქციის 5¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევისა; *(8.06.2012 N 201)*

დ) საწყობის საქმიანობის შემთხვევაში – „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დადგენილი წესით საწყობის საქმიანობისათვის გაანგარიშებული ოდენობის შემოსავლების სამსახურისათვის მისაღები გარანტია. *(8.05.2012 N 174 ამოქმედდეს 2012 წლის 15 მაისიდან)*

3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე ნებართვის გამცემს წარუდგინოს „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დადგენილი წესით თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობისათვის გაანგარიშებული ოდენობის შემოსავლების სამსახურისათვის მისაღები გარანტია. *(8.05.2012 N 174 ამოქმედდეს 2012 წლის 15 მაისიდან)*

4. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელს ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულების შემდეგ. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა ითვლება სანებართვო პირობების დარღვევად. *(8.05.2012 N 174 ამოქმედდეს 2012 წლის 15 მაისიდან)*

5. თუ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა უნდა განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების თაობაზე ხელშეკრულების ნაცვლად, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ამ ინსტრუქციის 5¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება. (8.06.2012 N 201)

6. შესაბამისი პორტალის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით განცხადების წარდგენის შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია, შესაბამის პორტალზე ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობის ექსკლუზიურად განხორციელებისათვის შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე ნებართვის გაცემამდე გადაიხადოს შემოსავლების სამსახურსა და ნებართვის მაძიებელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. (8.06.2012 N 201)

7. შესაბამისი პორტალის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე უარის თქმის შემთხვევაში ან ამ ინსტრუქციის 5¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების არსებობისას შემოსავლების სამსახურის მიერ შესაბამისი შენობა-ნაგებობის აუშენებლობის შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელს/მფლობელს უბრუნდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გადახდილი თანხა. (8.06.2012 N 201)

8. შესაბამისი პორტალის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუ საქართველოს კანონმდებლობით აიკრძალება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა ან გაუქმდება შესაბამისი პორტალი, ნებართვის მფლობელს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გადახდილი თანხა უბრუნდება სანებართვო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობის პერიოდის პროპორციულად. (8.06.2012 N 201)

მუხლი 5¹ (8.06.2012 N 201)

1. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია პირთან გააფორმოს ხელშეკრულება:

ა) შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აღმართვის შემდეგ ამ შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ პირისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის განსახორციელებლად (წინარე ხელშეკრულება);

ბ) შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ პირისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის აღმართვის შემდეგ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის განსახორციელებლად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ამავე პუნქტში აღნიშნულ პირზე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დაწყებამდე ნებართვის გამცემს წარუდგინოს დოკუმენტური ინფორმაცია ამ ინსტრუქციის IV თავით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების თაობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა ამ ინსტრუქციის IV თავით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების ნებართვის გამცემის მიერ დადასტურების შემდეგ.

თავი II საწყობი

მუხლი 6 ამოღებულია (23.09.2011 N 355)

მუხლი 7 (23.09.2011 N 355)

საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია:

ა) დაიცვას საწყობის შექმნის პირობები და შეასრულოს საგადასახადო ორგანოების მოთხოვნები;

ბ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას;

გ) გამორიცხოს საწყობში არსებული საქონლის უკანონოდ განკარგვის შესაძლებლობა;

დ) აწარმოოს საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული და დროებით დასაწყობებული საქონლის, სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვა მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, დადგენილი ფორმით (დანართი №4) და უზრუნველყოს ინფორმაციის მიმდინარე რეჟიმში ხელმისაწვდომობა შემოსავლების სამსახურისათვის;

ე) საქონლის დაკარგვისას ან დანაკლისის აღმოჩენისას (რომელიც აღემატება საქონლის ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით დაშვებულ ნორმებს) დანაკლისის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული აქტის წარდგენისას გადაიხადოს იმპორტის გადასახდელები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გადაიხდებოდა შესაბამისი იმპორტის გადასახდელები იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ამ საქონლის მოქცევისას.

ვ) საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უსასყიდლოდ გამოუყოს კონტროლის პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსო, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები; (17.05.2013 N 116)

ზ) საწყობის შესასვლელი და გასასვლელი, აგრეთვე საწყობის ტერიტორიაზე არსებული სათავსი (სათავსში განთავსებული სათავსების გარდა) აღჭურვოს

შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით. გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უწყვეტად უნდა ფიქსირდებოდეს (უნდა იძლეოდეს ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას დღეღამის განმავლობაში) ნებართვის მფლობელის მიერ სათავისათვის მინიჭებული ნომერი, სათავის შესასვლელი ან/და გასასვლელი, იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი საწყობის შემთხვევაში, გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს მხოლოდ საწყობის შესასვლელსა ან/და გასასვლელში გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი; (2.08.2013 N 201 ამოქმედდეს 2013 წლის 21 ივლისიდან)

თ) საწყობის ტერიტორიაზე საქონლის დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების განხორციელების, გადატვირთვის ოპერაციების (ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაში) განხორციელების ადგილი აღჭურვის აღნიშნული პროცედურების გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით; (17.05.2013 N 116)

ი) ამ მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული ვიდეოჩამწერები შეინახოს არანაკლებ 12 თვის განმავლობაში და მოთხოვნისამებრ წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს. მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება შესაძლებელი უნდა იყოს DVD, HDD, USB ან Ethernet ინტერფეისით avi, vcv ან mp4 ფორმატის ფაილებში. ვიდეოჩამწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩამწერის ნახვა. თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია ვიდეოჩამწერის განხორციელება, ნებართვის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის შესახებ და იმოქმედოს მისი მითითების შესაბამისად. (2.08.2013 N 201 ამოქმედდეს 2013 წლის 21 ივლისიდან)

მუხლი 8 (23.09.2011 N 355)

1. საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს შეცვალოს ნებართვით განსაზღვრული ტერიტორია ან შენობა-ნაგებობის ფართობი, ან/და ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ააგოს ახალი შენობა-ნაგებობა ან/და დაანგრის არსებული შენობა-ნაგებობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების რეალიზაციის მიზნით ნებართვის მფლობელი ვალდებულია წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს:

ა) ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ წერილობითი განცხადება და სიტუაციური გეგმა (ნახაზი), სადაც აისახება ნებართვით განსაზღვრული და ნებართვაში ცვლილებით დაგეგმილი საწყობის ტერიტორიის საზღვრები, ასაშენებელი შენობა-ნაგებობის პროექტი, დასანგრევი შენობა-ნაგებობა;

ბ) ნებართვით განსაზღვრული ფართობის გაზრდისას ნებართვაში მოსაქცევი მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობების საკუთრების დამადასტურებელი

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან სარგებლობის ექსკლუზიური უფლების (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი და სხვ.) დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელშეკრულების მხარის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

3. შემოსავლების სამსახური რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას და განხილვის ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღეში იღებს გადაწყვეტილებას ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ ან განცხადებითა და თანდართული მასალებით მიწოდებული ინფორმაციის სანებართვო პირობებთან შეუსაბამობის ან არასაკმარისი ინფორმაციის თაობაზე. იმავე ვადაში წერილობით აცნობებს განმცხადებელს.

4. ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების რეგისტრაციის თარიღიდან მომდევნო დღეს (მიუხედავად იმისა, არის თუ არა სამუშაო დღე) ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია ნებართვაში მითითებული საწყობის ტერიტორიის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა.

5. ნებართვის მფლობელი ვალდებულია საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს გარანტია, სადაც „პრინციპალის“ გრაფაში მიეთითება ნებართვის მფლობელის საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სრული საფირმო სახელწოდება (საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია ნებართვის მფლობელის საწარმოს საფირმო სახელწოდების სრულ შეცვლასთან).

თავი III ამოღებულია (23.09.2011 N 355)

თავი IV თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი

მუხლი 14

1. ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მისაღებად ნებართვის მაძიებელმა (მფლობელმა) უნდა წარადგინოს:

ა) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების, მიწის ნაკვეთის სიტუაციური გეგმა (ნახაზი) (ქალაქში ან სოფელში ან ელექტრონული) ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობების პროექტი შესაბამისი განმარტებებით, რომლებითაც დასტურდება, რომ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი მდებარეობს ან იქნება კონტროლის ზონაში;

ბ) წერილობით დადასტურებული ვალდებულება, რომ კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ნებართვის მფლობელი უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში სახელმწიფო კონტროლის პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსის, მოწყობილობებისა და კავშირგაბმულობის საშუალებების საგადასახადო ორგანოსათვის უსასყიდლოდ გამოყოფასა და ნებართვის მოქმედების ვადაში მათ ფუნქციონირებას;

გ) ინფორმაცია კონტროლის ზონაში (სავაჭრო დარბაზების გარდა, ობიექტის სხვა მონაკვეთებზე) დაშვებულ პირთა (თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მომუშავე პერსონალი) შესახებ, რომელშიც აისახება: პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (ფიზიკური პირი – სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი; საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, აგრეთვე პირადი ნომერი); იმ ფიზიკურ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, აგრეთვე პირადი ნომერი, ხელმოწერის ნიმუში), რომლის მიერ დადასტურდება აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში წარდგენა;

დ) წერილობით დადასტურებული ვალდებულება, რომ პუნქტში გაიყიდება მხოლოდ ის საქონელი, რომლის საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა ან საქართველოს ტერიტორიაზე გაყიდვა არ არის აკრძალული;

ე) ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ჟ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის შემთხვევაში – დოკუმენტი ობიექტის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ, რომლითაც დაფიქსირდება კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი);

ვ) წერილობით დადასტურებული ვალდებულება, რომ ნებართვის მოქმედების პერიოდში საქმიანობას განხორციელებს ამ ინსტრუქციის მე-15–მე-19 მუხლებით დადგენილი წესით;

ზ) ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ჟ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – ობიექტის მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი და სხვ.), რომელიც ანიჭებს ნებართვის მადიებელს უფლებას, გაყიდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტში ექსკლუზიურად.

2. სავაჭრო დარბაზი (სავაჭრო დარბაზები) უნდა მდებარეობდეს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გავლის ადგილის შემდეგ. სავაჭრო დარბაზის განლაგება უნდა გამორიცხავდეს მასში იმ პირების მოხვედრას, რომლებმაც შესაძლებელია გადაკვეთონ ეკონომიკური საზღვარი სათანადო პროცედურების გავლის გარეშე.

3. ამ ინსტრუქციის 5¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მადიებელზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვალდებულებები. (8.06.2012 N 201)

მუხლი 15

1. პუნქტში შესატან უცხოურ საქონელზე სახელმწიფო კონტროლის პროცედურების განხორციელების ადგილია პორტალი, რომლის გავლით გადაადგილდება პუნქტში შესატანად განკუთვნილი უცხოური საქონელი, აგრეთვე პუნქტის საწყობი, რომელშიც გათვალისწინებულია საქონლის დასაწყობება.

2. პუნქტში საქონლის შეტანა ხორციელდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობის (დანართი №6) და პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობის (დანართი №7) საფუძველზე, სადაც აისახება ამ ინსტრუქციის სათანადო დანართში მოცემული ფორმების შესაბამის გრაფაში შესატანი ინფორმაცია. პუნქტის მფლობელი ვალდებულია პუნქტის საწყობში შეტანისას უცხოური საქონლის შეფუთვის (რომლითაც საქონელი შეიტანება პუნქტის საწყობში) დააკრას სპეციალური წებოვანი სტიკერი, რომელზეც დატანილია აღრიცხვის მოწმობის „D“ ნომერი (TIR წიგნაკის ნომერი), ხოლო საქართველოს საქონლის შეფუთვის (რომლითაც საქონელი შეიტანება პუნქტის საწყობში) დააკრას სპეციალური წებოვანი სტიკერი, რომელზეც დატანილია პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობის ნომერი.

3. საქონლის ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტში ან საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილას საქონლის გასანადგურებლად გაგზავნა ხორციელდება „პუნქტიდან სხვა პუნქტში ან საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ სხვა ადგილზე საქონლის გაგზავნის აქტით“ (დანართი №12) და აღრიცხვის მოწმობის საშუალებით, ხოლო პუნქტის სავაჭრო დარბაზიდან პუნქტის საწყობში საქონლის შეტანა ხორციელდება „პუნქტის სავაჭრო დარბაზიდან პუნქტის საწყობში საქონლის შეტანის აქტით“ (დანართი №13).

4. საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას პუნქტში სარეალიზაციოდ განკუთვნილი უცხოური საქონლის გადაადგილება დაიშვება პორტალიდან პირდაპირ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტამდე საწყობში განთავსების გარეშე. ამ მიზნით საქონელი საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე გადაადგილდება აღრიცხვის მოწმობის ან TIR წიგნაკის საფუძველზე.

5. დაუშვებელია პუნქტის სავაჭრო დარბაზების, დამხმარე სათავსებისა და პუნქტის საწყობის გამოყენება იმ საქონლის შესანახად და სარეალიზაციოდ, რომელიც არ გაცხადებულა პუნქტში მოსათავსებლად.

მუხლი 16

1. პუნქტში საქონლის შეტანის მიზნით ხორციელდება შემდეგი პროცედურები:

ა) პუნქტში სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენა „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით დასტურდება:

ა.ა) საავტომობილო გადაზიდვის შემთხვევაში – პუნქტის მიერ აღრიცხვის მოწმობის (TIR წიგნაკის მეორე მოსახვევი (მწვანე) ფურცლის მეორე გვერდზე) მეორე გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (ბეჭედი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). აღნიშნული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის თარიღი და დრო ჩაითვლება საგადასახადო ორგანოში საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის დღედ;

ა.ბ) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში – რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებსა და აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (შტამპი, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული აღრიცხვის მოწმობისა და სარკინიგზო ზედნადების საგადასახადო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება პუნქტს;

ბ) პორტალის გავლით საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი კონტროლის ზონის დატოვების გარეშე გადაადგილდება იმავე პორტალში განთავსებული პუნქტის დანიშნულებით. ამ პორტალში ხორციელდება ზოგადი დეკლარირება კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოიწერება აღრიცხვის მოწმობა, რომელიც კონტროლიდან იხსნება იმავე პორტალის მიერ ამ მუხლით დადგენილი პროცედურების განხორციელებისას;

გ) პუნქტში უცხოური საქონლის გამოცხადებისთანავე, არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 15 საათამდე, პუნქტის მფლობელი ან მისი უფლებამოსილი პირი პუნქტში სარეალიზაციოდ განკუთვნილი უცხოური საქონლის დანიშნულების ადგილზე პუნქტში გამოცხადების დადასტურების მიზნით გადასცემს შესაბამისი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს აღრიცხვის მოწმობით ან TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის პუნქტში გამოცხადების შეტყობინებას (დანართი №8);

დ) შეტყობინების მიღებიდან 1 საათში საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უთითებს პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობის მიღების დადასტურებისთვის საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის დასწრების დროს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს:

და.ა) თუ შეტყობინება მიღებულია 15 საათამდე – იმავე სამუშაო დღეს;

და.ბ) თუ შეტყობინება მიღებულია 15 საათის შემდეგ – მომდევნო სამუშაო დღის 15 საათს;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დროში საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი პუნქტის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობას. იდენტიფიკაციის საშუალებების დაზიანების ან საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე მათი მოცილებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი იწყებს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას, სხვა შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ხსნის იდენტიფიკაციის საშუალებებს;

ვ) სატრანსპორტო საშუალების გახსნა, პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანა და შესაბამისი ცნობის (დანართი №6) შევსება ხორციელდება პუნქტის მფლობელის ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელთა მიერ, ამ პუნქტის „ე“

ქვეპუნქტში მითითებული ქმედების განხორციელების შემდგომ. ცნობის მიღების დადასტურების მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უსვამს პირადნომრიან ბეჭედს, აწერს ხელს და უთითებს თარიღს. საქონლის დათვალეირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მოწმდება ცნობაში მითითებული მონაცემების სისწორე. (5.04.2012 N 123)

2. პუნქტის საწყობში ან/და დამხმარე სათავსში საქონლის აღრიცხვის, მასზე საქონლის შენახვისა და გაყიდვის მოსამზადებელი ქმედების აღნუსხვის მიზნით ნებართვის მფლობელი ელექტრონულად აწარმოებს საქონლის აღრიცხვას დანართი №9-ის შესაბამისად.

3. პუნქტის საწყობი, აგრეთვე დამხმარე სათავსი მასში კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის არსებობის პერიოდში მუდმივად უნდა იყოს დალუქული, შესაბამის საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებული ნიმუშის უნიკალურნომრიანი ერთჯერადი ლუქით, გარდა საქონლის შეტანისას ან/და გამოტანისას, აგრეთვე საქონლის შენახვის და მისი გაყიდვისათვის მოსამზადებელი ოპერაციების განხორციელებისას. (15.02.2011 N 82)

4. ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტში საქონლის შეტანისას, ამ ინსტრუქციის მე-16 მუხლში ასახული პროცედურების დაწყებამდე, ობიექტის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ჩამწერი საშუალებებით ფიქსირდება სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

მუხლი 17

1. პუნქტში საქონლის გაყიდვა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გამსვლელ ფიზიკურ პირებზე შემდეგი დოკუმენტების წარდგენისას:

- ა) ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში:
 - ა.ა) ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი ქვემოთ მითითებული დოკუმენტი, რომელშიც დასმულია თარიღის შტამში აღნიშვნით – „გასვლა“:
 - ა.ა.ა) საქართველოს მოქალაქის პასპორტი; ან
 - ა.ა.ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი; ან
 - ა.ა.გ) ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი; ან
 - ა.ა.დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი; ან
 - ა.ა.ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამგზავრო დოკუმენტი;
 - ა.ბ) აეროპორტში განთავსებული პუნქტში საქონლის გაყიდვის შემთხვევაში – დამატებით საერთაშორისო რეისზე ჩასხდომის ბარათი ან საავიაციო პერსონალის მოწმობის (სერტიფიკატის), ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის, ან სხვა სამგზავრო დოკუმენტის საფუძველზე;
- ბ) ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში:
 - ბ.ა) ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი ქვემოთ მითითებული დოკუმენტი:

- ბ.ა.ა) საქართველოს მოქალაქის პასპორტი; ან
- ბ.ა.ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი; ან
- ბ.ა.გ) ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი; ან
- ბ.ა.დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი; ან
- ბ.ა.ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამგზავრო დოკუმენტი;

ბ.ბ) საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიის გარეთ გასვლის საერთაშორისო საჰაერო რეისით მგზავრობის დამადასტურებელი ბილეთი (მათ შორის – ელექტრონული ბილეთი) ან საავიაციო პერსონალის მოწმობა (სერტიფიკატი), ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობა.

2. უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა და დიპლომატიური მისიის წევრების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის გაყიდვისას წარსადგენი დოკუმენტები განისაზღვრება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

3. სავაჭრო დარბაზში პუნქტის საწყობიდან საქონელი შეიტანება „სავაჭრო დარბაზში საქონლის შეტანის აქტით“, დანართი №10-ის შესაბამისად. სავაჭრო დარბაზში საქონლის შეტანამდე პუნქტის მფლობელი ვალდებულია რეალიზაციისთვის განკუთვნილ უცხოური საქონლის თითოეულ ერთეულს დააკრას სპეციალური წებოვანი სტიკერი, რომელზეც დატანილია საქონლის შესაბამის შეფუთვაზე დაკრული სტიკერის, ხოლო საქართველოს საქონლის თითოეულ ერთეულს – სპეციალური წებოვანი სტიკერი, რომელზეც დატანილია საქონლის შესაბამის შეფუთვაზე დაკრული სტიკერის ნომერი (პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობის ნომერი).

4. გაყიდული საქონელი უნდა მოთავსდეს პუნქტის მფლობელის შესაბამის შეფუთვაში, რომელსაც ქართულ და ინგლისურ ენებზე ექნება წარწერა „თავისუფალი ვაჭრობა“ და „DUTY FREE“. იმ შემთხვევაში, როცა საქონლის გაყიდვა ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ჟ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ადგილიდან, საქონელი შეფუთული სახით იგზავნება საერთაშორისო რეისის შემსრულებელი საჰაერო სატრანსპორტო საშუალების გაფრენის ადგილის მიხედვით აეროპორტში აღრიცხვის მოწმობით და მყიდველს ეს საქონელი მიეწოდება სასაზღვრო კონტროლის გავლის შემდეგ.

5. თუ მგზავრის გამოუცხადებლობის გამო, არ მოხდება მისთვის საქონლის ჩაბარება, ამ შემთხვევაში არ მოხდება ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული აღრიცხვის მოწმობის დახურვა და აღნიშნული საქონელი ამავე აღრიცხვის მოწმობით დაბრუნდება გაგზავნის ადგილზე.

6. პუნქტის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება.

7. პუნქტში მოთავსებულ საქონელს შენახვისა და გაყიდვისათვის მოსამზადებლად შეიძლება ჩაუტარდეს ის ოპერაციები, რომლებიც განსაზღვრულია საწყობში მოქცეული საქონლის მიმართ.

8. პუნქტში შეძენილი საქონლის ფაქტობრივ გატანაზე კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტი. ამ მიზნით ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ჟ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტში შეძენილი საქონელი გადაადგილდება აღრიცხვის მოწმობით პორტალამდე, რომლის მიერაც ხორციელდება საქონლის წარდგენის დადასტურება. (15.02.2011 N 82)

9. საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირების მიერ პუნქტში ნაყიდი საქონელი, ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გაუტანლობის შემთხვევაში, დაიბეგრება იმპორტის სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად.

10. პუნქტში მოთავსებული საქონლის გაყიდვისას იმ პირებზე, რომელთაც არ ჰქონდათ მათი შეძენის უფლება, აგრეთვე მისი დანაკლისის შემთხვევაში, პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს იმპორტის გადასახდელები, რომლებიც სავალდებულო იქნებოდა შესაბამისად საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას, აგრეთვე შეასრულოს სხვა საგადასახადო ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონელი დაუძლეველი ძალის მოქმედების გამო აღმოჩნდება მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული, ან დაკარგული, ან გაფუჭებული და შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება.

11. პუნქტში მოთავსებული საქონლის სასაქონლო სახის დაკარგვისას (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა), როცა საქონლის მახასიათებლები შეცვლილია იმდენად, რომ შეუძლებელია პუნქტიდან საქონლის გატანის შემთხვევაში საქონელი იდენტიფიცირდეს პუნქტში საქონლის შეტანისას საქონლისთვის მინიჭებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო კოდით, ნებართვის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს იმპორტის გადასახდელები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გადაიხდებოდა იმპორტის გადასახდელები პირვანდელი საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას.

მუხლი 18

1. პუნქტში მოთავსებული საქონელი ექვემდებარება პუნქტის მფლობელისა და საგადასახადო ორგანოს მიერ სავალდებულო აღრიცხვას.

2. სავაჭრო დარბაზში რეალიზებული საქონლის აღნუსხვის მიზნით ნებართვის მფლობელი აწარმოებს საქონლის აღრიცხვას დანართი №11 ფორმის მიხედვით. აღნიშნული ფორმები იკინძება აღრიცხვის ჟურნალად, გვერდები ინომრება და მოწმდება შესაბამისი საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის ხელის მოწერით და

ბეჭდით. შემოსავლების სამსახურის მხრიდან წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს ამავე სამსახურის მიერ განსაზღვრული მონაცემები ელექტრონულად შეაქვს შემოსავლების სამსახურის სერვერში განთავსებულ მონაცემთა ბაზაში პუნქტში საქონლის შეტანის, სავაჭრო დარბაზში გადატანისა და საქონლის რეალიზაციის შესახებ მომართვის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე.

3. საქონლის აღრიცხვის ჟურნალი ბოლო ჩანაწერის გაკეთების შემდეგ გადაეცემა შესაბამის საგადასახადო ორგანოს დასამოწმებლად. დამოწმების შემდეგ ჟურნალი უბრუნდება პუნქტის მფლობელს და მის მიერ ინახება 6 წლის განმავლობაში. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელოს პუნქტში რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონლის პუნქტის საწყობში შეტანამდე საქონლის დათვალიერება, კამერალური შემოწმება ან გასვლითი შემოწმება და საქონლის ინვენტარიზაცია.

4. აღრიცხვის ჟურნალი იწარმოება პუნქტში არსებული აღრიცხვის სხვა სისტემების, მათ შორის, ელექტრონულ მონაცემთა ბაზის არსებობის მიუხედავად. აღწერის ჟურნალი საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებელ პირებს წარედგინებათ მათი პირველივე მოთხოვნისთანავე.

5. ნებართვის მფლობელი ვალდებულია კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს ანგარიშგება მიღებული და რეალიზებული საქონლის შესახებ №9 და №11 დანართებში მოცემული ფორმის თანახმად.

მუხლი 19

1. თავისუფალი ვაჭრობის საქმიანობის ნებართვის მფლობელ პირს უფლება აქვს შეცვალოს ნებართვით განსაზღვრული ტერიტორია ან/და ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ააგოს ახალი შენობა-ნაგებობა ან/და დაანგრიოს არსებული შენობა-ნაგებობა ამ მუხლით დადგენილი წესით. ამისათვის ნებართვის მფლობელი ვალდებულია წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს:

ა) ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ წერილობითი განცხადება და ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, სადაც აისახება ნებართვით განსაზღვრული და ნებართვაში ცვლილებით დაგეგმილი ობიექტის ტერიტორიის საზღვრები, ასაშენებელი შენობა-ნაგებობის პროექტი, დასანგრევი შენობა-ნაგებობა;

ბ) ნებართვით განსაზღვრული ფართობის გაზრდისას ნებართვაში მოსაქცევი ობიექტის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან არანაკლებ ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით დადებული სარგებლობის ექსკლუზიური უფლების (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი და სხვ.) დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელშეკრულების მხარის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. შემოსავლების სამსახური ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას განიხილავს, რეგისტრაციიდან 3 დღეში, ხოლო:

ა) განცხადებისა და თანდართული მასალებით მიწოდებული ინფორმაციის ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სანებართვო პირობებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობებს განმცხადებელს, ამ განცხადების განხილვის ვადის ამოწურვიდან 2 დღეში;

ბ) განცხადებისა და თანდართული მასალებით მიწოდებული ინფორმაციის ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენისას 2 დღეში იღებს გადაწყვეტილებას ნებართვაში ცვლილების შეტანის შესახებ. ამ გადაწყვეტილების თაობაზე შემოსავლების სამსახური აცნობებს შესაბამის საგადასახადო ორგანოს, განმცხადებელს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. (15.02.2011 N 82)

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან (მიუხედავად იმისა, უქმეა თუ დასვენების დღე) ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია ნებართვაში მითითებული პუნქტის ტერიტორიის ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა.

4. თუ ნებართვის მფლობელის საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ხორციელდება ისეთი ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ნებართვის მფლობელის საწარმოს სრული საფირმო სახელწოდების შეცვლასთან, ნებართვის მფლობელი ვალდებულია საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის განმავლობაში წარადგინოს შემოსავლების სამსახურში გარანტია, რომელშიც „პრინციპალის“ გრაფაში მიეთითება ნებართვის მფლობელის საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სრული საფირმო სახელწოდება. წარდგენილი გარანტიის ვადა უნდა იყოს არანაკლებ ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადისა.

მუხლი 20

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ამ ინსტრუქციის მე-15–მე-19 მუხლებით დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესებით წარმართვა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

თავი V

სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი, პასუხისმგებლობა და ნებართვის გაუქმება

მუხლი 21

1. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელოს

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ ინსტრუქციით დადგენილი სანებართვო პირობებისა და ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების კონტროლი. შემოსავლების სამსახური კონტროლს ახორციელებს შერჩევითი შემოწმების მეთოდით.

2. შემოსავლების სამსახური ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონტროლს ახორციელებს შესაბამისი საგადასახადო ორგანოს საშუალებით. შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს თვითონ შეამოწმოს სანებართვო პირობები, სადაც ვალდებულო წესით მონაწილეობს შესაბამისი საგადასახადო ორგანო.

3. შესაბამისი საგადასახადო ორგანო სანებართვო პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგენს შემოსავლების სამსახურს სათანადო ინფორმაციას სანებართვო პირობების დარღვევისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

4. ნებართვის გაუქმების შემთხვევაში სანებართვო მოწმობა შემოსავლების სამსახურს უნდა დაუბრუნდეს ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 22 (23.09.2011 N 355)

1. ნებართვის გაუქმების შედეგად შესაბამისი საგადასახადო ორგანო, საწყობის მფლობელი ან/და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან/და მესაკუთრე ვალდებულია დაასრულოს მასა და დამსაწყობებელს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ნებართვის მოქმედების ვადამდე ნებართვის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი საგადასახადო ორგანო ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის განხორციელებას ან საქონლის გადატანას სხვა ნებართვის მფლობელის საწყობში. სხვა ნებართვის მფლობელის საწყობში საქონლის გადატანის შემთხვევაში დამსაწყობებელს (საქონლის მესაკუთრეს, მფლობელს ან მათ მიერ უფლებამოსილ პირს) უფლება აქვს საქონლის გადატანის ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვოს საწყობის მფლობელს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შესრულების მიზნით საგადასახადო ორგანო წერილობით (რომელიც იგზავნება დაზღვეული ფოსტით) ატყობინებს დამსაწყობებელს საქონლის სხვა ნებართვის მფლობელის საწყობში გადატანის ან შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის გამოყენების ვალდებულების შესახებ. საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს) დამსაწყობებლის მიერ საქონლის გაუტანლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო ახორციელებს საქონლის განკარგვას.

4. საწყობში არსებულ კონტროლზე აყვანილ ტვირთზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი ვალდებულება ეკისრება საწყობის მფლობელს, ვადის ამოწურვის შემდეგ – დამსაწყობებელს.

5. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაუქმების შესახებ

მიღებული გადაწყვეტილების თარიღიდან საქონელი, რომელიც იმყოფება სავაჭრო დარბაზებსა და დამხმარე სათავსებში, ექვემდებარება დაუყოვნებლივ გადაადგილებას პუნქტის საწყობში. საგადასახადო ორგანოს მიერ პუნქტის საწყობში არსებული საქონლის ინვენტარიზაციის დასრულებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში პუნქტის საწყობიდან უცხოური საქონელი შესაძლებელია აღრიცხვის მოწმობით გადატანილ იქნეს სხვა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პუნქტის საწყობში ან საწყობში. პუნქტის საწყობში (გარდა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პუნქტის საწყობისა) ხორციელდება ამ საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაცია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნებართვის გაუქმებიდან 30 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ საგადასახადო ორგანო ახორციელებს საქონლის განკარგვას.

6. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან სამი სამუშაო დღის ვადაში ნებართვის ყოფილი მფლობელი ვალდებულია წარადგინოს საგადასახადო ორგანოში ანგარიშგება პუნქტის საწყობში მოთავსებულ საქონელზე №9 დანართში მოცემული ფორმის თანახმად.

7. საგადასახადო ორგანო ვალდებულია ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგების წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს გასვლითი შემოწმება და საქონლის ინვენტარიზაცია.

მუხლი 23

ამ ინსტრუქციით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა ნებართვის მფლობელის მიერ გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1 (5.04.2012 N 123)



შეიქმნა
სამსახური

საწყობის საქმიანობის
სანებართვო მოწმობა N000000

სანებართვო მოწმობის მფლობელი _____
(საწარმოს სრული დასახელება, სარეგისტრაციო მონაცემები)

საწყობის ადგილმდებარეობა და ფართობი _____

(ნებართვის მფლობელის იურიდიული მისამართი; საწყობის მისამართი; საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს საწყობი; შენობა-ნაგებობებისა და ღია მოედნების ფართობი)

სანებართვო მოწმობა გაცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
შემოსავლების სამსახურის _____

20 წლის ის № ბრძანების საფუძველზე.

გაცემის თარიღი 20 წ.

მოქმედების ვადა 20 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის
უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №2 ამოღებულია (23.09.2011 N 355)

დანართი №3 (5.04.2012 N 123)



შეშოსსავლები
სამსახური

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის
სანებართვო მოწმობა N000000

სანებართვო

მოწმობის

მფლობელი: _____

(საწარმოს სრული დასახელება, სარეგისტრაციო მონაცემები)

საწყობის

ადგილმდებარეობა

და

ფართობი

(ნებართვის მფლობელის იურიდიული მისამართი; თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მისამართი; საგადასახადო ორგანოს დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი; პუნქტის ფართობი)

სანებართვო მოწმობა გაცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის _____

20..... წლის ის № ბრძანების საფუძველზე.

გაცემის თარიღი 20 წ.

მოქმედების ვადა 20 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის –

შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

დამკვეთი:

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №4 (23.09.2011 N 355)

№	საქონლის მფლობელის ს/ნ	საქონლის მფლობელის დასახელება	წელი	საგადასახადო ორგანოს კოდი	აღრიცხვის მოწმობის ნომერი	საწყოში საქონლის მესვლის თარიღი	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა (კგ)	განაცხადის ნომერი	განაცხადის თარიღი	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	საწყოში აღკვეთის ნომერი	საწყოში აღკვეთის თარიღი	საწყოში აღრიცხვის მოწმობის ნომერი	საწყოში აღრიცხვის თარიღი	საწყოში აღრიცხვის თარიღი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1.																		
2.																		
3.																		
4.																		
5.																		
6.																		
7.																		
8.																		
9.																		
10.																		

დანართი №5 ამოღებულია (23.09.2011 N 355)

პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის
ცნობა № _____

N	აღრიცხვის მოწმობის ნომერი ან TIR წიგნაკის სტამბური ნომერი	საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია	საქონლის კოდი სეს ესნ-ის მიხედვით	რაოდენობის ერთეული (საცალო)	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8

(პუნქტის მფლობელის, მისი წარმომადგენლის: – სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

ცნობაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირის																				
(ხელმოწერა)																				(თარიღი), (თვე) (წელი)

დამატებითი ფურცლების რაოდენობა: _____

ზედამხედველობის ქვეშ აყვანილია	სახელი, გვარი
პ.ბ.	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

1. ცნობის პირველ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში - საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის ნომერი (D ნომერი) ან TIR წიგნაკის სტამბური ნომერი; მე-3 გრაფაში – საქონლის საფირმო დასახელება და დამახასიათებელი სპეციფიკაცია; მე-4 გრაფაში – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით; მე-5 გრაფაში – ერთეული საქონლის ფიზიკური ან ტექნიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა (მაგ: კგ, ლიტრი, ღერი და სხვა); მე-6 გრაფაში – საქონლის ფაქტობრივი რაოდენობა ცალობით; მე-7 გრაფაში – საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება ლარებში; მე-8 გრაფაში შენიშვნა.

(პუნქტის მფლობელის, მისი წარმომადგენლის: – სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

ცნობაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირის														
(ხელმოწერა)		(თარიღი), (თვე)		(წელი)										

დამატებითი ფურცლების რაოდენობა: —

ზედამხედველობის ქვეშ აყვანილია	სახელი, გვარი
პ.ბ.	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

1. ცნობის პირველ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში – საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ნომერი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების ნომერი; მე-3 გრაფაში საქონლის საფირმო დასახელება და დამახასიათებელი სპეციფიკაცია; მე-4 გრაფაში – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით; მე-5 გრაფაში – ერთეული გასაყიდი საქონლის ფიზიკური ან ტექნიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა (მაგ: კგ, ლიტრი, ღერი და სხვა); მე-6 გრაფაში – გასაყიდი საქონლის ფაქტიური რაოდენობა ცალობით; მე-7 გრაფაში – საქონლის საცალო ღირებულება ლარებში; მე-8 გრაფაში შენიშვნა.

მაგალითი:

№	საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების N	საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია	საქონლის კოდი სეს ესნ-ის მიხედვით	რაოდენობის ერთეული (საცალო)	რაოდენობა (საცალო)	ერთეული საქონლის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
3	2725431	Saperavi Unfiltered	2204 21 780 01	0.75ლ	60	29ლ	

2. ცნობა ივსება ქართულ ენაზე (საქონლის სავაჭრო ნიშნის/ლოგოს გარდა), მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება (ასეთ შემთხვევაში გამოიწერება ახალი ცნობა). იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, მონაცემების შეტანა გრძელდება დამატებით ფურცელზე, ამასთან, დამატებით ფურცლის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

3. ცნობა ივსება 2 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პირველი – პუნქტს;

ბ) მეორე – საგადასახადო ორგანოს;

4. ცნობას ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს პუნქტის კოდს, მეორე – შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი), მესამე – რიგით ნომერს ან დამატებითი ფურცლის შევსების შემთხვევაში მიეთითება ცნობის რიგითი ნომერი, მეოთხე – ივსება მხოლოდ დამატებითი ფურცლის შევსების შემთხვევაში და მიეთითება დამატებითი ფურცლის ნომერი (ამასთან, მეორდება ცნობის პირველი 3 ნაწილის მონაცემები).

ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცნობის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან.

შევსებული ცნობა ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.”;

დანართი №8

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით – TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის პუნქტში გამოცხადების შეტყობინება № _____

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დასახელება _____

(ხაზი გაუსვით)

შესაბამისი საგადასახო ორგანოს დასახელება _____

N	აღრიცხვის მოწმობის (TIR კარნეტის) რეკვიზიტები		საწყობში გამოცხადების თარიღი და დრო (საათი, წუთი)	შენიშვნა
	სტამბური ნომერი	ნომერი		
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				

დამატებითი ფურცლების რაოდენობა: _____

პუნქტის საწყობის უფლებამოსილი ფიზიკური პირის თანამდებობა _____

_____ სახელი, გვარი: _____

ხელმოწერა _____

ბ.ა.

საგადასახადო ორგანოს მიერ დოკუმენტის მიღების თარიღი და დრო ----- 200 წ. ---სთ. ---წთ.

შესაბამისი საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი:

ხელმოწერა _____

პ.ბ.ა.

საგადასახადო ორგანოს მიერ იდენტიფიკაციის საშუალებების მოცილების (ასეთის არსებობისას), სატრანსპორტო საშუალების გახსნის, სატრანსპორტო საშუალებიდან საწყობში საქონლის შეტანის ფაქტის დადასტურების მიზნით საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის გამოცხადების თარიღი და დრო ----- 200 წ. -----სთ. -----წთ.

შენიშვნა:

1. შეტყობინება ივსება ქართულ ენაზე, მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება. იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, მონაცემების შეტანას გრძელდება, სხვა ფორმაში, ამასთან, დამატებით ფურცლის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

2. შეტყობინება ივსება 2 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად: ა) პირველი – პუნქტს; ბ) მეორე – საგადასახადო ორგანოს;

3.. შეტყობინებას ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს პუნქტის უნიკალურ კოდს, მეორე – შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი), მესამე – რიგით ნომერს ან დამატებით სხვა ფორმის შევსების შემთხვევაში მიეთითება ძირითადი შეტყობინების რიგითი ნომერი, იმ მეოთხე – ივსება მხოლოდ დამატებით სხვა ფორმის შევსების შემთხვევაში და მიეთითება დამატებით ფორმის რიგითი ნომერი (ამასთან, მეორდება ძირითადი ფორმის პირველი 3 ნაწილის მონაცემები).

ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეტყობინების რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან.

შევსებული შეტყობინება ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი №9

საწყობში ან/და დამხმარე სათავსოში საქონლის ელექტრონული აღრიცხვის ფორმა

N	პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობა	პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობა	საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია	საქონლის კოდი სეს ენის მიხედვით	რაოდენობი ს ერთეული საცალო	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება	სავაჭრო დარბაზში საქონლის შეტანის აქტი №	ნაშთი საწყობში (იდენტიური საქონელი, რომელიც შეტანილია	შენიშვნა
---	---	---	-----------------------------------	---------------------------------	----------------------------	--------------------	-------------------------------------	--	---	----------

(პუნქტის მფლობელის, მისი წარმომადგენლის: – სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აქტში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირის										
(ხელმოწერა)		(თარიღი), (თვე)		(წელი)						

დამატებითი ფურცლების რაოდენობა:—

ზედამხედველობის ქვეშ აყვანილია	სახელი გვარი
პ.ბ.	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

1. აქტის პირველ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში – პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობის ნომერი; მე-3 გრაფაში – პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობის ნომერი; მე-4 გრაფაში საქონლის სტატუსი (უცხოური ან ქართული); მე-5 გრაფაში – საქონლის საფირმო დასახელება და დამახასიათებელი სპეციფიკაცია; მე-6 გრაფაში – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით; მე-7 გრაფაში – ერთეული გასაყიდი საქონლის ფიზიკური ან ტექნიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა (მაგ: კგ, ლიტრი, ღერი და სხვა); მე-8 გრაფაში – საქონლის ფაქტიური რაოდენობა ცალობით; მე-9 გრაფაში – საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება ლარებში; მე-10 გრაფაში – შენიშვნა.

მაგალითი:

N	პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობა №	პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობა №	საქონლის სტატუსი	საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია	საქონლის კოდი სეს ესნ-ის მიხედვით	რაოდენობის ერთეული საცალო	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11		101-22/06/07-23	ქართული	TELIANI OLD K. PIROSMANI RED 75 CL	22042180000	0.75ლLLL	48	18.40	
12	101-09/07/08-21		უცხოური	C.DIOR ADDICT 2 EDTS 50ML	33030090000	508ლ	10	165.60	

2. აქტი ივსება ქართულ ენაზე (საქონლის სავაჭრო ნიშნის/ლოგოს გარდა), მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება

(ასეთ შემთხვევაში გამოიწერება ახალი აქტი). იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, მონაცემების შეტანა გრძელდება დამატებით ფურცელზე, ამასთან, დამატებით ფურცლის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

3. აქტი ივსება 2 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პირველი – პუნქტს;

ბ) მეორე – საგადასახადო ორგანოს.

4. აქტს ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს პუნქტის კოდს, მეორე – შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი), მესამე – რიგით ნომერს ან დამატებითი ფურცლის შევსების შემთხვევაში მიეთითება აქტის რიგითი ნომერი, მეოთხე – ივსება მხოლოდ დამატებითი ფურცლის შევსების შემთხვევაში და მიეთითება დამატებითი ფურცლის ნომერი (ამასთან, მეორდება აქტის პირველი 3 ნაწილის მონაცემები). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცნობის რიგითი ნომერების ათვლა წარმოებს თავიდან. შევსებული აქტი ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

დანართი №11

პუნქტის სავაჭრო დარბაზში რეალიზებული საქონლის აღწერის ფორმა

№ _____

N	სავაჭრო დარბაზში საქონლის შეტანის აქტი №	სტიკერის ნომერი №	საქონლის სტატუსი	საქონლის დასახელება სპეციფიკაცია	საქონლის კოდის ენსის მიხედვით	რაოდენობის ერთეული (საცალო)	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება	საერთაშორისო რეისებზე ავიაბილეთის № (მ.შ. ელექტრონული)	საავიაციო პერსონალის მოწმობის № (სერტიფიკატის)	საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დიპლომატის სახელზე გაცემული პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათი	სხვა დოკუმენტის მიუთითეთ დოკუმენტის დასახელება და ნომერი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

(პუნქტის მფლობელის, მისი წარმომადგენლის: – სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აღწერის ფორმაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირის													
(ხელმოწერა)		(თარიღი), (თვე)		(წელი)									

შევსების წესი:

ფორმის პირველ გრაფაში ეთითება – ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში – სავაჭრო დარბაზში საქონლის შეტანის აქტის ნომერი; მე-3 გრაფაში – სპეციალურ წებოვან სტიკერზე მითითებული ნომერი; მე-4 გრაფაში საქონლის სტატუსი (უცხოური ან ქართული); მე-5 გრაფაში – საქონლის საფირმო დასახელება და დამახასიათებელი სპეციფიკაცია; მე-6 გრაფაში – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით; მე-7 გრაფაში – ერთეული გასაყიდი საქონლის ფიზიკური ან ტექნიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა (მაგ: კგ, ლიტრი, დერი და სხვა); მე-8 გრაფაში – საქონლის ფაქტიური რაოდენობა ცალობით; მე-9 გრაფაში – საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება; მე-10 გრაფაში – საერთაშორისო რეისებზე ავიაბილეთების ნომერი (მათ შორის ელექტრონული); მე-11 გრაფაში – საავიაციო პერსონალის მოწმობის ნომერი (სერტიფიკატის ნომერი); მე-12 გრაფაში – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის მიერ მის სახელზე გაცემული პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათი; მე-13 გრაფაში – სხვა დოკუმენტი მისი დასახელების და ნომრის მითითებით; მე-14 გრაფაში – შენიშვნა.

მაგალითი:

№	სავაჭრო დარბაზში საქონლის შეტანის აქტის №	სტიკერის ნომერი №	საქონლის სტატუსი	საქონლის დასახელება სპეციფიკაცია	საქონლის კოდის ენის მიხედვით	რაოდენობის ერთეული (საცალო)	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო ღირებულება	საერთაშორისო რეისებზე ავიაბილეთის № (მ.შ. ელექტრონული)	საავიაციო პერსონალის მოწმობის № (სერტიფიკატის)	საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დიპლომატის სახელზე გაცემული პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათი	სხვა დოკუმენტის დასახელება და ნომერი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	101-07/02/09-1	206	უცხოური	MARLBORO KS BOX	2402 09 0001	20 დერი	10 კოლოფი	3 ლარი	KIELER WTBSMUCLH 3215 C092 3D LD M LD M				

დამატებითი ფურცლების რაოდენობა: —

პუნქტიდან სხვა პუნქტში ან საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ სხვა ადგილზე საქონლის გაგზავნის აქტი №_____

№	სტიკერის ნომერი №	პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობა №	პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობა №	საქონლის სტატუსი	საქონლის დასახელება , სპეციფიკაცია	საქონლის კოდი სეს ეს-ის მიხედვით	რაოდენობის ერთეული (საცალო)	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

(პუნქტის მფლობელის, მისი წარმომადგენლის: – სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აქტში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირის										
(ხელმოწერა)	(თარიღი), (თვე)			(წელი)						

დამატებითი ფურცლების რაოდენობა: _____

ზედამხედველობის ქვეშ აყვანილია	სახელი გვარი
პ.ბ	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

1. აქტის პირველ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში – სპეციალურ წებოვან სტიკერზე მითითებული ნომერი; მე-3 გრაფაში – პუნქტის საწყობში უცხოური საქონლის შეტანის ცნობის ნომერი; მე-4 გრაფაში პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობის ნომერი; მე-5 გრაფაში – საქონლის სტატუსი (ქართული ან უცხოური); მე-6 გრაფაში – საქონლის საფირმო დასახელება და დამახასიათებელი სპეციფიკაცია; მე-7 გრაფაში - საქონლის თერთმეტნიშნა კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით; მე-8 გრაფაში – ერთეული საქონლის ფიზიკური ან ტექნიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა (მაგ: კგ, ლიტრი, ღერი და სხვა);

(პუნქტის მფლობელის, მისი წარმომადგენლის: – სახელი გვარი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი (მ.შ. წარმომადგენლის): (საკონტაქტო ტელეფონი)

აქტში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

პასუხისმგებელი პირის													
(ხელმოწერა)		(თარიღი), (თვე)		(წელი)									

დამატებითი ფურცლების რაოდენობა: _____

ზედამხედველობის ქვეშ აყვანილია პ.ბ.	სახელი გვარი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
--	--

შენიშვნა: შევსების წესი იხ. მეორე გვერდზე

1. აქტის პირველ გრაფაში ეთითება: ჩანაწერის რიგითი ნომერი (არაბული ციფრი); მე-2 გრაფაში – სპეციალურ წებოვან სტიკერზე მითითებული ნომერი; მე-3 გრაფაში – საქონლის სტატუსი (ქართული ან უცხოური); მე-4 გრაფაში - საქონლის საფირმო დასახელება და დამახასიათებელი სპეციფიკაცია; მე-5 გრაფაში – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით; მე-6 გრაფაში – ერთეული საქონლის ფიზიკური ან ტექნიკური სიდიდის სპეციფიკური მნიშვნელობა (მაგ: კგ, ლიტრი, ღერი და სხვა); მე-7 გრაფაში – საქონლის ფაქტიური რაოდენობა ცალობით; მე-8 გრაფაში – საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება ლარებში; მე-9 გრაფაში შენიშვნა.

მაგალითი:

№	სტიკერის №	საქონლის სტატუსი	საქონლის დასახელება, სპეციფიკაცია	საქონლის კოდი სეს ესნ-ის მიხედვით	რაოდენობის ერთეული (საცალო)	რაოდენობა (საცალო)	საქონლის საცალო სატარიფო ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
3	2071	უცხოური	C.KLEIN CKB EDT 200 ML	3303 00 100 00	200მლ	60	48ლ	

2. აქტი ივსება ქართულ ენაზე (საქონლის სავაჭრო ნიშნის/ლოგოს გარდა), მონაცემები შეიტანება გარკვევით, არ დაიშვება მონაცემების წაშლა ან გადასწორება (ასეთ შემთხვევაში გამოიწერება ახალი აქტი). იმ შემთხვევაში, თუ არ არის საკმარისი ადგილი მონაცემების შესატანად, მონაცემების შეტანა გრძელდება დამატებით ფურცელზე, ამასთან, დამატებით ფურცლის შესაბამის გრაფაში უთითებს ამის შესახებ.

3. აქტი ივსება 2 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად:

ა) პირველი – პუნქტს;

ბ) მეორე – საგადასახადო ორგანოს.

4. აქტს ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან, პირველი – ასახავს პუნქტის კოდს, მეორე – შედგენის თარიღს (ორციფრა რიცხვების კომბინაცია, რომლითაც აისახება რიცხვი, თვე და წელი), მესამე – რიგით ნომერს ან დამატებითი ფურცლის შევსების შემთხვევაში მიეთითება აქტის ნომერი, მეოთხე – ივსება მხოლოდ დამატებითი ფურცლის შევსების შემთხვევაში და მიეთითება დამატებით ფურცლის ნომერი (ამასთან, მეორდება აქტის პირველი 3 ნაწილის მონაცემები). ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცნობის რიგითი ნომრების ათვლა წარმოებს თავიდან. შევსებული აქტი ინახება 6 წლის განმავლობაში, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.